ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 2018/38

ქ. თბილისი **15 იანვარი 2018 წ.**

ერთის მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის **გრიგოლ გიორგაძის** სახით და მეორეს მხრივ, **ფ/პ ხათუნა ძაძამია** პ/ნ 62004008282 (შემდგომში "მიმწოდებელი"), შემდგომში ერთობლივად წოდებული მხარეებად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის **2018 წლის 9 იანვრის N 7** განკარგულების და სსიპ „სახელმფიწო შესყიდვების სააგენტო"-ს მიერ გაცემული თანხმობის **(SMP170003042)** საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც მოხსენიებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა" „მიმწოდებლის" მიერ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული „მომსახურების" მიწოდებას.

1.6. „მომსახურება" – „ხელშეკრულების" მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ინსპექტირება" – „ხელშეკრულების" პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

1.8. „გვერდი" - „მიმწოდებლის" მიერ წერილობით ნათარგმნი ტექსტი, შესრულებული A4 ფორმატის ფურცელზე 14 ზომის შრიფტით.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

თარჯიმნის მომსახურების შესყიდვა, ზეპირი და წერილობითი ფორმით, რუსული ენიდან ქართულ ენაზე და პირიქით, (CPV 79540000 - თარჯიმნის მომსახურება; **ბიუჯეტის კოდი 34010301**) „ხელშეკრულების" პირობების შესაბამისად.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **2,000.00** ლარს, შესრულებასთან დაკავშირებული „მიმწოდებლის" მიერ გაწეულ ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

3.2. ერთი „გვერდის" თარგმნის ღირებულება შეადგენს 10 (ათი) ლარს.

3.3. ერთი საათით თარჯიმნის მომსახურების ღირებულება შეადგენს 30 (ოცდაათი) ლარს.

3.4. იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელს" ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით მოუწევს ქალაქ თბილისის გარეთ 100 კმ-ზე მეტი მანძილით გასვლა, ყოველ ასეთ ჯერზე „ხელშეკრულებით" გათვალისწინებულ ასანაზღაურებელ თანხას დაემატება **75** ლარი.

3.5. „მიმწოდებლისათვის" ასანაზღაურებელი თანხა მოიცავს „ხელშეკრულების" შესრულებასთან დაკავშირებულ მის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 4. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადები

4.1. „მომსახურების" გაწევის ადგილია:

4.1.1. ქ. თბილისი, თამარაშვილის 15ა, სამინისტროს ცენტრალური აპარატის შენობა;

4.1.2. გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარტყოფი, თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრი;

4.1.3. ასევე, საქართველოს იმ დანარჩენ ტერიტორიაზე, რომელზეც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დღეისათვის ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია.

4.2. „მომსახურების" გაწევის ვადაა **2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

მუხლი 5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

5.2.1. უზრუნველყოს გაწეული „მომსახურების" ღირებულების ანაზღაურება „ხელშეკრულებით" გათვალისწინებულ ვადებში და წესით;

5.2.2. „მიმწოდებლის" მიერ „მომსახურების" გაწევის ნებისმიერ ეტაპზე შეამოწმოს „მომსახურების" ხარისხის შესაბამისობა „ხელშეკრულების" პირობებთან.

5.3. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს" „მომსახურების" ღირებულების ანაზღაურება „ხელშეკრულებით" გათვალისწინებულ ვადებში და წესით.

5.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

5.4.1. განახორციელოს „მომსახურება" ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხარისხიანად და სრულყოფილად;

5.4.2. შესაბამისი შეტყობინების შემთხვევაში, 2 (ორი) დღის ვადაში აღმოფხვრას გაწეული „მომსახურების" შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზი, საკუთარი ხარჯით;

5.4.3. „მომსახურების" მიწოდებისას აცნობოს „შემსყიდველს" ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

5.4.4. დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სახელმწიფო საიდუმლო ან პერსონალურ მონაცემებს მიკუთვნებული ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ ხელშეკრულებით მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას;

5.4.5. ყოველ სამუშაო დღეს დილის 09:00 საათიდან 18:00 საათამდე გაწიოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

5.4.6. გაეცნოს და დაიცვას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 15 ოქტომბრის N1671 ბრძანებით დამტკიცებული ქცევის წესები („თავშესაფრის პროცედურაში ჩართული თარჯიმნების ქცევის წესები").

მუხლი 6. ინსპექტირება

6.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, ხოლო „მიმწოდებელი" ვალდებულია ხელი შეუწყოს ინსპექტორებს ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებენ მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის, თავშესაფრის საკითხთა სამმართველოს უფროსი **ირაკლი ლომიძე**, ამავე სამმართველოს III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტები **მარიამ სვანიძე** და III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ნატო კანდელაკი.**

6.3. „შემსყიდველის" მიერ ინსპექტირება განხორციელდება „ხელშეკრულების" მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

6.4. ინსპექტირების განხორციელების დროს ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველის" მოთხოვნიდან 2 (ორი) დღის ვადაში გამოასწოროს იგი.

მუხლი 7. მომსახურების მიღება-ჩაბარება

7.1. „მომსახურება" მიღებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები ხელს მოაწერენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.

7.2. „შემსყიდველის" მხრიდან ამ მუხლის 7.1. პუნქტში აღნიშნულ მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერენ „ხელშეკრულების" მე-6 მუხლის 6.2. პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები.

მუხლი 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, „საქართველოს **2018** წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით „შემსყიდველისათვის" გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

8.2. ანგარიშსწორება ხორციელდება, ყოველთვიურად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად შედგენილი მიღება-ჩაბარების აქის ხელმოწერიდან **10 (ათი) სამუშაო** დღის ვადაში.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

9.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში „ხელშეკრულების“ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე, შეტყობინების ყველა შესაძლო საშუალებით, უნდა გაუგზავნოს ინფორმაცია მეორე მხარეს ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით, აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული საშუალება, რომელიც დამოუკიდებელი იქნება ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

მუხლი 10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. მხარეებს, „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაეკისრებათ პასუხისმგებლობა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

10.2. „ხელშეკრულების“ მე-5 მუხლის 5.4.5. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.3. „ხელშეკრულების“ მე-6 მუხლის 6.4 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ არღვევს ან არასრულად/არაჯეროვნად ასრულებს ამ ხელშეკრულების პირობებს, „შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და ჯარიმის სახით დააკისროს ხელშეკრულების ღირებულების 50%-ის ანაზღაურება.

10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება „ხელშეკრულებაში“ შესაძლებელია შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო დადგება „ხელშეკრულების“ პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია 10 (ათი) დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. „ხელშეკრულების“ პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება „ხელშეკრულების“ პირობები „შემსყიდველისთვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დაუშვებელია „ხელშეკრულების“ ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

მუხლი 12. დავების გადაწყვეტა

„ხელშეკრულების“ შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო 5 (ხუთი) დღის ვადაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმერ მხარეს უფლება აქვს მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს „ხელშეკრულების“ მოქმედება, თუ „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. „ხელშეკრულების“ ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. „ხელშეკრულება“ შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება მოქმედებს **2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 იანვრის** ჩათვლით, გარდა მე-5 მუხლის 5.4.4. ქვეპუნქტისა.

14.2. „ხელშეკრულების" მე-5 მუხლის 5.4.4. ქვეპუნქტი ძალაშია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მე-5 მუხლის 5.4.4. ქვეპუნქტში აღნიშნული ინფორმაციის დაცვის ვალდებულების ვადით.

მუხლი 15. სხვა პირობები

15.1. „ხელშეკრულებით" გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.2. „ხელშეკრულება" შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან 2 (ორი) ინახება „შემსყიდველთან", ხოლო 1 (ერთი) მიმწოდებელთან.

15.3. „ხელშეკრულებასთან" დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 16. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ს. კოდი 200037646 მის: ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა ტელ.: 2 31 15 80 (შესყიდვების სამმართველო) ტელ.: 2 31 15 82 (ბუღალტერია) სახელმწიფო ხაზინა ბ. კოდი TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022 **მინისტრის პირველი მოადგილე** **გრიგოლ გიორგაძე**	**ფ.პ. ხათუნა ძაძამია** პ/ნ: 62004008282 ბანკი: სს „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22 ა.ა. GE20BG 0000 0008 8465 5000 **ხათუნა ძაძამია**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: **15 იანვარი 2018 წ.**

მიმწოდებელი: **ფ/პ ხათუნა ძაძამია**

ხელშეკრულების ნომერი: **2018/38**

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლის „ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობების" შესაბამისად ვადასტურებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

მინისტრის პირველი მოადგილე

გრიგოლ გიორგაძე ----------

ინსპექტირების განმახორციელებელი პირები

ირაკლი ლომიძე ----------

მარიამ სვანიძე ----------

ნატო კანდელაკი ----------

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი

სალომე გირგვლიანი ----------

შემსრულებელი

ზაურ ცხვარაძე ----------

175-02-01/06-3-201801111704

N 02-01/06-175 11/01/2018

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით
გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა
მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ გრიგოლ გიორგაძეს

მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების
დეპარტამენტის უფროსის
ირაკლი კოკაიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გრიგოლ,

მოგახსენებთ, რომ საქართველოში თავშესაფრის მაძიებლებს, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს „საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცედურების ჩასატარებლად, ამავე კანონის 27-ე და 35-ე მუხლების შესაბამისად, ესაჭიროებათ კვალიფიცირებული თარჯიმნები. მსოფლიოს კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე მოვლენების გამო საქართველოში თავშესაფრის მთხოვნელთა რაოდენობა კვლავ მაღალი რჩება (2017 წელს ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების თხოვნით სამინისტროს მომართა 948 პირმა) განაპირობა თარჯიმანთა მომსახურების ყოველდღიური საჭიროება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 9 იანვრის N7 განკარგულების - „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ სხვადასხვა ენოვანი თარჯიმნების მომსახურების შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ" თანახმად, გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს 2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გააფორმონ თარჯიმანთა ხელშეკრულებები ქვემოთ ჩამოთვლილი ენების სპეციალისტებთან:

1. ოთარ ნავაძე - არაბული ენის თარჯიმანი - არსებული ხელშეკრულების პირობებით;
2. ლევან აბულაძე - არაბული ენის თარჯიმანი - არსებული ხელშეკრულების პირობებით;
3. დარეჯან გარდავაძე - არაბული ენის თარჯიმანი - არსებული ხელშეკრულების პირობებით - ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4000 ლარს;
4. კახაბერ ჩინჩალაძე - ჰინდის ენის თარჯიმანი - არსებული ხელშეკრულების პირობებით - ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 30000 ლარს;
5. ანა გრიგალაშვილი - რუსული ენის თარჯიმანი - არსებული ხელშეკრულების პირობებით - ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 5000 ლარს;
6. ხათუნა ძაძამია - რუსული ენის თარჯიმანი - არსებული ხელშეკრულების პირობებით - ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2000 ლარს;

7. მაია კაპანაძე - ფრანგული ენის თარჯიმანი - არსებული ხელშეკრულების პირობებით - ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1500 ლარს;
8. ნათია კუნდუხაშვილი - სპარსული ენის თარჯიმანი - არსებული ხელშეკრულების პირობებით - ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 13000 ლარს.
9. გივი დათიაშვილი - თურქული ენის თარჯიმანი - არსებული ხელშეკრულების პირობებით - ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 9000 ლარს.
10. მილენა ბალინსკა - ბულგარული ენის თარჯიმანი - არსებული ხელშეკრულების პირობებით - ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1000 ლარს.
11. სევილ ომაროვა - აზერბაიჯანული ენის თარჯიმანი - არსებული ხელშეკრულების პირობებით - ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 5000 ლარს.

პატივისცემით,

ირაკლი კოკაია

I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -დეპარტამენტის უფროსი

მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტი

ოკუპირებული
საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა
და ლტოლვილთა სამინისტრო
2000370640
შემოს.№ 1191/01
"10" 01 2018 წ.
ფ. 01

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№7 2018 წლის 9 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ სხვადასხვაენოვანი თარჯიმნების მომსახურების შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. ნება დაერთოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით მისთვის გათვალისწინებული შესაბამისი ასიგნებების ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სხვადასხვაენოვანი თარჯიმნების მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. განკარგულება ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**